23 APRILIE

ACATISTUL SF.MARE MUCENIC GHEORGHE DE LA CAPADOCIA

ACATISTIER-GG

Ο ΑΓΙΟΣ
ΓΕΩΡΓΙΟΣ

დაუჯდომელი საგალობელი წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა მოწამისა გიორგისი

კონდაკი 1

უგალობთ ღუაწლთა შენთა, მჯნეო მოწამეო იესუჲსო, და წმიდასა ჯსენებასა შენსა ვადიდებთ, ხოლო რომელთა ესე მოვიღეთ შენ მიერ ჯსნაჲ, გიხაროდენსა მადლობითა შევსწი-რავთ შენდა, ახოვანო, და ვითარცა მსწრაფლ-შემწისა მიმართ მოლტოლჯლნი და სიყუარუ-ლითა მოსრულნი, სახელოვანსა და ყოვლად დიდებულსა საკჯრველებათა მიერ, მჯურვალედ გიღაღადებთ: გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

იკოსი 1

ჰბრწყინავ ნათლითა წამებისაჲთა, ქრისტჱს მჯედარო, მჯნეო სულითა, და გჯრგჯნითა მარტჯლთაჲთა შემკული ელვარედ მდგომარე ხარ წინაშე ღმრთისა, მას მხოლოსა ევედრე აწ ცხორებად და განათლებად ღირსად მგალობელთა სიწმიდისა შენისაჲთა, რაჲთა ყოველთა უწყოდიან, ვითარმედ სიკუდილისაცა შემდგომად ცხოველ-ხარ და ნუგეშინისცემასა და მჯნეობასა მიჰმადლებ სარწმუნოებით მგალობელთა:

გიხაროდენ, რჩეულო ღმრთისაო, და ჭეშმარიტო და საკჯრველო მჯედარო მეუფისაო;
გიხაროდენ, ზეცადმდე აღწევნულო სუეტო მართლისა სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, კანონო სიმართლისაო და ნუგეშინისცემისაო;
გიხაროდენ, ზღუდეო მამაცობისაო და გოდოლო შეუძრველო სიმჯნისაო;
გიხაროდენ, ჭურო კეთილისა ზნეობისა და გონიერებისაო;
გიხაროდენ, ას-წილად აღმაორძინებელო შენდა მოცემულისა ტალანტისაო;
გიხაროდენ, მბრძოლო უბრძოლველო მძჯნვარისა მის ბელიარისაო;
გიხაროდენ, მახჯლო შეუმუსრველო ქართლოსიანთა მჯედრობისაო;
გიხაროდენ, კეთილმუშაკო ქრისტჱს ვენაჯისაო;
გიხაროდენ, უშურველო წყაროო წყლისა ცხოველისაო და ზღუაო კაცთმოყუარებისაო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 2

ნათელსა განეშორნეს და შეუდგეს ბნელსა უღმრთონი, რამეთუ განჯდა ბრძანებაჲ ყოველსა სოფელსა, რაჲთა ღმერთსა ცხოველსა არა მსახურებდეს, არამედ კერპთა უსულოთა, გარნა შენ იხილე რაჲ ეგოდენი უღმრთოებაჲ და ქრისტჱს მბრძოლი გონებაჲ მათი, ღმრთისა სიყუარულითა მიეც მონაგები შენი გლახაკთა, ხოლო თავი შენი მსხუერპლად სათნოდ ქრისტესა და აქებდი ძლიერებასა მისსა: ალილუია.

იკოსი 2

რაჟამს დაადგრა შენ თანა საღმრთოჲ სული საკჯრველთმოქმედი, მინდობილი ღმერთსა ჭე შმარიტსა არა შეძრწუნდი ზარისგან უშჯულოჲსა მეფისა და არცა განმზადებულთა მათ სატანჯველთაგან, არამედ აღმსაარებელი ქრისტჱსი კადნიერად წარსდეგ წინაშე მზაკჯუვარისა კრებულისა და ამხილე კერპთმსახურებაჲ, ეგრეთვე აწ მოვედ ჩუენდა, სულითა უძლეველო, და მოგვეც გულისჯმაჲ შეცოდებათა ჩუენთა, რაჲთა არა დაგვეხშას ბჭენი სასუფეველისანი შემსხმელთა შენთა:

გიხაროდენ, კაპპადუკიასა აღმოცენებულო და პალესტინასა შინა კეთილად აღორძინებულო;
გიხაროდენ, საუფლოთა ვნებათა ტრფიალებითა მოწყლულო;

გიხაროდენ, მოწყალებითა და სარწმუნოებითა განწმედილო;
გიხაროდენ, საღმრთოჲთა გულისჴმის-ყოფითა განათლებულო;
გიხაროდენ, სიმჴნისა მამაცობისა ძლიერებითა გაბრწყინვებულო;
გიხაროდენ, ქრისტჱს ჯუარისა მჴართა შენთა ზედა აღმღებელო;
გიხაროდენ, თჳსტომთა შენთა შორის საღმრთოთა სწავლათა განმფენელო;
გიხაროდენ, მსგავსად დავითისა უცხო-თესლთა დამცემელო;
გიხაროდენ, მჴედრობითისა ვაჟკაცობისა მასწავლელო;
გიხაროდენ, გლახაკთა ლოცვითა შეჭურჭლო და უძლურთა უღონოებისა მტჳრთველო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 3

უხილავთა მათ აღთქმულთა საშუებელთა წინაჲსწარ მხედველ-იქმენ თუალითა სულისაჲთა, ახოვანო და მოღუაწეო, და არად შერაცხენ წარმავალნი საშუებელნი ამის საწუთროჲსანი, არამედ მსგავსად მჴსნელისა შენისა ნებსით თჳსით მიისწრაფდი ღუაწლთა მიმართ და დილეგსა შინა შეწყუდეული, ვითარცა საყდარსა მყოფი, ყოვლისა შემოქმედსა ჴმა-მაღლად უგალობდი: ალილუია.

იკოსი 3

ვითარცა ვარდი სულნელი, ფერითა შუენიერითა გამოსჩნდი შენ ეკალთაგან უნაყოფოთა, და ვითარცა სანთელი, აღენთე შორის ბნელსა ნათესავთა მათ უგულისჴმოთა, შუენიერო დიდებაო მოწამეთაო, და სძაგებდ განცხადებულად კერპთა მათ მტყუართა, რაჲსთჳს აღემზადნეს მოკლვად შენდა, გარნა შენ ლოცვითა და სასოებითა ღმრთისაჲთა სული შენი განიმტკიცე და მრავალ-ფერნი სატანჯველნი ხრწნილთა ჴორცთა ბუნებითა დაითმინე, ამისათჳს გხადით შენ მეოხად ღმრთისა მიმართ და ესრეთ გიღაღადებთ:

გიხაროდენ, საღმრთოჲსა სჯულისა საცნაურად დამცველო;
გიხაროდენ, კეთილისა განზრახვისა გულსა შინა შენსა დამდებელო;
გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა ვაზისა დამნერგველო;
გიხაროდენ, ტყუეობასა შინა სულისა აზნაურებისა დამმარხველო;
გიხაროდენ, ღუაწლთა და განსაცდელთა ახოვნად თავს-მდებელო;
გიხაროდენ, ქრისტჱსთჳს ყუედრებისა და კიცხევისა დამთმენელო;
გიხაროდენ, სულთა განმხრწნელთა სწავლებათა დამამჴობელო;
გიხაროდენ, ბოროტისა უკრძალველობისა და ურცხვინოებისაგან დამჴსნელო;
გიხაროდენ, სატანისა მაჴეთაგან და უცხო თესლთა ზედა მოსლვისაგან დამცველო;
გიხაროდენ, მზაკუვარებისა დამლახვრელო და ეშმაკთა მსწრაფლ განმსჴმელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 4

არა ინება მოქცევაჲ სიბრმისაგან და სიფიცხლისა მეფემან უგუნურმან, არამედ შენ ბრწყინვალისა და ძლიერისა ჴმითა აღიარებდი ქრისტესა ღმერთად, კერპთა ეშმაკად სახელ-სდებდი და ყოველსა სიბრმესა მას ამხილებდი, რომელნი სიცრუვითა ღმერთად სწამებენ არაღმერთთა, ყოველთა ღმრთისა მიმართ მოუწოდდი და სამწმიდითა შესხმითა ადიდებდი ყოვლად წმიდასა სამებასა: ალილუია.

იკოსი 4

ესმა რაჲ სმენაჲ სიტყუათა შენთაჲ მძლავრთა, სირცხჳლეულ-იქმნნეს ფრიად, რამეთუ ღმერთნი მათნი

გინებულ-ჰყვენ და საცინელად გამოაჩინენ, ხოლო ქრისტე ღმერთი ჰქადაგე ჯორცითა ჯუარცმული, უქმ-მყოფელი სულთა წარმწყმედელისა საცთურისა და მარადის ლოცვითა შეზღუდვილმან დაამჯუე სილაღჱ იგი მაცთურისა, ეგრეთვე აწ აღანთე გულსა შინა ჩუენსა საღმრთოჲ ცეცხლი მოშურნეობისაჲ, რაჲთა სურვილითა შენითა ვიღუაწოთ ახოვნებითა და ვიტყოდეთ წადიერებითა:

გიხაროდენ, მხილებისა მახჯლითა კერპთმსახურთა განმგმერელო;
გიხაროდენ, სარწმუნოებითა მტკიცითა მძლავრთა უღმრთოებისა განმაქიქებელო;
გიხაროდენ, შეურყეველითა მჯნეობითა ყოველთა განმაკჯრვებელო;
გიხაროდენ, ღმრთისმეცნიერებისა ნათლითა კერპთმსახურთა წყუდიადისა განმანათლებელო;
გიხაროდენ, არა-ცხოველისა და ნელ-ტფილისა სარწმუნოებისა ჩუენისა განმაცხოველებელო;
გიხაროდენ, ქურივთა ნუგეშინისმცემელო და ობოლთა გამომზრდელო;
გიხაროდენ, მუშაკთა ნაყოფიერმყოფელო და გლახაკთა განმკითხველო;
გიხაროდენ, ტყეობისაგან და მძლავრთა მონებისაგან მრავალთა სულთა გამომჯსნელო;
გიხაროდენ, სალმობათა განმაქარვებელო და უღმრთოებისა სიმყრალისა განმჯდელო;
გიხაროდენ, ცრუმორწმუნეობისა ბიწისა აღმჯოცელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 5

დაეყუნეს ყურნი მეფესა განბოროტებულსა, მსგავსად ყრუჲსა ასპიტისა, რამეთუ არა ისმინა ჯმაჲ შენი - კეთილად მეტყუელისა ბრძნისაჲ, და ბრძანა ძელსა დამოკიდებაჲ შენი და ლახურითა განგმერაჲ, გარნა ღმერთმან საკჯრველებათამან ცუდ-ყო განზრახვაჲ მისი და გიგმირეს რაჲ, მეყუსეულად უკუნ-იქცა წუერი იგი ლახურისაჲ, ვითარცა ცჯლისაჲ, და ჯორცთა შენთა გამოეცა ცუარი სისხლისაჲ, ხოლო შენ საკჯრველად დაცული მადლობასა აღავლენდი ღმრთისა მიმართ მაღლისა და ადიდებდი მოწყალებასა მისსა: ალილუია.

იკოსი 5

ჯუალად აღივსო დიოკლეტიანე გულისწყრომითა დიდითა და ბრძანა ფერჯთა შენთა ხუნდსა შინა შეყრაჲ და მკერდსა ზედა ლოდისა დადებაჲ, ხოლო შენ მაღლითა ჯმითა მადლი და დიდებაჲ შესწირე ღმერთსა, რამეთუ ღირს-გყო მკერდსა ზედა ტჯრთვად მძიმისა ქვისა და გულსა შენსა შეურყეველად დამტკიცებაჲ მართლისა სარწმუნოებისა, გარნა ქრისტემან განგკურნა წყლულებათაგან და განგაძლიერა შენ, რაჲთა ყოველნი, რომელთა იხილეს საკჯრველებაჲ დიდი, განმტკიცდეს და ვითარცა ტარიგსა ღმრთისასა სარწმუნოებითა გნატრიდეს:

გიხაროდენ, დაუცადებელითა ლოცვითა ეშმაკისა ცთუნებათა განმდევნელო;
გიხაროდენ, ზეცისა იერუსალჱმისათჯს ტანჯვათა დამთმენელო;
გიხაროდენ, სასოებითა ღმრთისაჲთა მტერისა აღლესულისა საჭურველისა დამლეწველო;
გიხაროდენ, მოგუთა გრძნებისა დამარღვეველო და სიცბილისა მათისა ძლევით მამხი-ლებელო;
გიხაროდენ, ერთგულთათჯს პატივისა მიმნიჭებელო და ორგულთა დამამდაბლებელო;
გიხაროდენ, უძლურთა ძლიერებაო და მძლავრთა დამცემელო;
გიხაროდენ, მოყუასთა შემაერთებელო და მტერთა დამლახვრელო;
გიხაროდენ, უმშჯაროდ სიკუდიდ განწირულთა თანამზრუნველო და მფარველო;
გიხაროდენ, პატიოსნებისა და მამაცობისა დამნერგველო;
გიხაროდენ, ბოროტთა ზნე-ჩუეულებათა აღმკვეთელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 6

ფრიად მრავალთა მათ განსაცდელთა და საზარელთა სატანჯველთა, შეთხზულთა ღონითა მით ეშმაკისაჲთა ვერ დაგცეს შიში საზარი მოღუაწესა, რამეთუ ქრისტჱსთჳს ჰბრძოდი მათ და ანგელოზნი გფარჳდეს შენ, არამედ შიში და ზარი ბელიარსა დაეც და განაქარვე, ვითარცა ცჳლი წინაშე ცეცხლსა, შემწველსა ქრისტჱს წინააღმდგომთასა, და აქებდი განმაძლიერებელსა შენსა: ალილუია.

იკოსი 6

დაკუეთილნი რვალისა ჭურჭელთა მიერ ჴორცნი შენნი და აღლესულითა დანითა თჳთეულად დაჭრილნი იხილენ-რაჲ სულითა განმჴნობილმან, აღაპყარ თუალნი ზეცად და ღაღად-ყავ: „მომხედენ მონასა შენსა, ღმერთო ჩემო, და შემეწიე, რაჲთა არა ვიძლიო ბოროტისაგან“, მაშინ მსწრაფლ გესმა ჴმაჲ ს აწადელი დაუსაბამოჲსაგან: „გიორგი, მე მარადის შენთანა და შენ ჩემ თანა უკუნისამდე“, და კუალადცა განგაახლა, მისგანვე ითხოვე, სანატრელო, ერისა ჩუენისათჳს ჴსნაჲ ფლობისაგან უცხო თესლთასა და წყალობაჲ შენდამი მგალობელთა:

გიხაროდენ, სასწაულთა შენთა ელვარებითა ყოვლისა სოფლისა შემამკობელო;
გიხაროდენ, წინააღმდგომთა სიცოფისა არარად შემრაცხველო;
გიხაროდენ, მღჳძარედ და ფხიზლად ცხორებისა შემაგონებელო;
გიხაროდენ, ბოროტად მადიდებელთა კადნიერებისა შემმუსრველო;
გიხაროდენ, სიწმიდისა შემბილწველთა და ქრისტიანობისა განმრყვნელთა შემრისხველო;
გიხაროდენ, ყოველთა მიმძლავრებულთა და ჩაგრულთა მფარველო;
გიხაროდენ, სიმართლისა მოძულეთა და ბოროტისა კეთილად დამდებთა მარცხვენელო;
გიხაროდენ, ცოდვისა მოყუარეთა კაცთათჳს თავშეკავებისა სიტკბოებისა მასწავლელო;
გიხაროდენ, მძლავრთა კაცთ-მოძულეთა მთავართა და მსაჯულთა მამხილებელო;
გიხაროდენ, მათ მიერ უსამართლოდ დევნულთა მწყალობელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 7

ოდეს დაგმსჭუალეს შენ ურმისთუალსა მას საშინელსა, უშჯულონი ჰგონებდეს, რაჲთამცა მოგაკუდინეს, არამედ კუალადცა განიკურნე მოსლვითა ანგელოზისა ღმრთისაჲთა და განახლე-ბული და ბრწყინვალჱ წარსდეგ წინაშე მეფისა და მაგნეტიოსისა, მეგობრისა მისისა და მრთლად გამოჩინებითა მრავალნი მიიტაცნე სარწმუნოებად ჭეშმარიტისა ღმრთისა, ხოლო მათ მახჳლითა აღსასრული მიითუალეს და იხარებენ და გალობენ წინაშე მისსა: ალილუია.

იკოსი 7

შეძრწუნდა უგულისჴმოჲ იგი მეფჱ და დასი მისი, რამეთუ დამდოვრდეს სატანჯველნი მათნი არა ვნებად შენდა და ლიქნით იწყეს სიტყუად შენდა მომართ: „გიორგი, აწ გუერჩდი ჩუენ და გადიდოთ შენ“, გარნა შენ ამხილებდი ცთომილებასა მათსა და ეტყოდი: „დიდებაჲ თქუენი თქუენდავე იყავნ, უღმრთონო, წარსაწყმედელად თქუენდა“, და უწყალოდ გუემული ქებით აღამაღლებდი ღმერთსა, რომელსაცა ევედრე აწ დაცვად განსაცდელთაგან ბოროტთა მოსავთა შენთა და სურვილით მგალობელთა:

გიხაროდენ, სულიერისა მღჳძარებისა ზარისა დამარისხებელო;
გიხაროდენ, საკერპოთა ველურობისა კადნიერად დამჴსნელო;
გიხაროდენ, მანქანებათა მათ სიცრუვისაჲთა დამარღვეველო;
გიხაროდენ, დილეგისა სიბნელისა და კრულებათა ახოვნად დამთმენელო;
გიხაროდენ, ჭირთა და ურვათა საჴუმილისა დამშრეტელო;
გიხაროდენ, განსაცდელთა და ღელვათა დამაყუდებელო;

გიხაროდენ, ყოველთა ურწმუნოთა პირისა დამაყოფელო;
გიხაროდენ, სოფლისა ღელვათაგან შერყეულთა და შეგინებულთა გულთა დამამშჳდებელო;
გიხაროდენ, სანთელო, გონიერთა განმანათლებელო და უგუნურთა დამწველო;
გიხაროდენ, ყრმათა ყოვლისა სიბილწისა და მანკიერებისაგან დამჴსნელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 8

ვითარცა ელისე ელიაჲსა ხალენითა მსწრაფლ განაპობდა მდინარესა, ეგრეთცა ჯუარითა განაპე ურწმუნოებისა სიმძლავრეთა მდინარენი, რომელსა შინა განვლეს მრავალთა ერთა, რამეთუ არა მხოლოჲ ცოცხალი ოდენ და სულიერი, არამედ ყოვლითურთ უვნებელი გიხილეს, ახალ-დამბალსა კირსა შინა, ცეცხლისა სახედ მოტყინარესა და განკჳრვებულთა ჴმა-ყვეს: „ჭეშმარიტად დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთა“, ხოლო შენ, მსგავსად სამთა მათ ყრმათა, საჴუმილსა შინა სიმჴურვალჱ ცეცხლისაჲ შეურაცხ-ყავ ახოვნებით, და სამადლობელი გალობაჲ შესწირე ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 8

უბრძანა მეფემან უგუნურმან ფრიად განჴურვებაჲ ჴამლთა რკინისაჲთა, განმსჭუალულთა სამსჭუალებითა და შესხმად ფერჴთა შენთა პატიოსანთა, რომელ ილოცევდ: „ყვენ ესე მჴსნელ ფერჴთა ჩემთა, სანთელ აღნთებულ და გზაჲ მორბედებისა ჩემისაჲ შენდა მომართ“, ხოლო ანგელოზნი მხიარულ იქმნეს კეთილთა მათ მოღუაწებათათჳს შენთა და განგკურნეს ყოველთაგან სატანჯველთა, ამისთჳსცა ევედრე ღმერთსა, ანგელოზთა მიერ განდევნოს ჩუენგან ყოველი ბოროტი და დაგვიცვეს ყოველთაგან განსაცდელთა, რაჲთა ვჰოოთ განსუენებაჲ და შუებაჲ წარუვალი ქებით მადიდებელთა შენთა:

გიხაროდენ, საუნჯეო სულისა წმიდისაო;
გიხაროდენ, მესაიდუმლეო ღმრთის მხილველობისაო;
გიხაროდენ, აღმსაარებელო დევნილისა სარწმუნოებისაო;
გიხაროდენ, მჴნედ განმბასრველო კაცთა ხელოვანებითა შეთხზულისა შჯულისაო;
გიხაროდენ, შეურაცხ-მყოფელო რკინისა სიმახჳლისაო და ცეცხლისა სიმჴურვალისაო;
გიხაროდენ, გონიერო ანდამატო მოთმინებისაო;
გიხაროდენ, მაგალითო საღმრთოჲსა მჴედრობისაო;
გიხაროდენ, მეოხო მჴურვალეო მორწმუნისა ერისაო;
გიხაროდენ, ძლიერო შურისმგებელო ქართლოსიანთა მტერისაო;
გიხაროდენ, ცოდვისა ზღუასა შინა დანთქმულთათჳს ნავთსაყუდელო ჴსნისაო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 9

შენ მიერ აჩუენა ღმერთმან უღმრთოთა მათ საკჳრველი სასწაული, და ლოცჳთა შენითა აღადგინა საფლავით მკუდარი დაძუელებული და ურწმუნოებითა დაძინებული კერპთმსახურებასა შინა, რომელი გმადლობდა-რაჲ, ვითარცა ღუაწლისა-მძლესა, უარისყოფითა შეაჩვენებდა კერპთა უსულოთა და ჴმა-მაღლად აღიარებდა ქრისტესა ღმერთად, ხოლო ათანასე გრძნებასა ზედა განთქუმული, მყის მოიქცა, ძლიერებითა ღმრთისაჲთა უქმ-იქმნა-რაჲ გრძნებათა მისთა ხელოვნებაჲ და შესწირა მას სადიდებელი გალობაჲ: ალილუია.

იკოსი 9

ჯუარითა შემუსრე რაჲ კერპნი მცბიერნი წინამძღუარმან დიდმან მორწმუნეთამან, საღმრთოჲთა შურითა

აღეგზნა ნეტარი დედოფალი ალექსანდრა და განეშორა რაჲ დიოკლეტიანეს - მოწაფესა ეშმაკისასა, ჴმა-ყო: „ესე უწყოდით ამიერითგან, მე ვარ მჴევალი ქრისტჱსი, რომელსა ქადაგებს წმიდაჲ გიორგი“, და მყის რწმენა ქრისტე დიდსა სიმრავლესა ერისასა, ამისთჳსცა განვიცდით მჴურვალესა ღმრთისმოყუარებასა შენსა და შეგასხამთ ქებასა ქებათასა:

გიხაროდენ, მართლისა სარწმუნოებისა მოციქულებრივ მქადაგებელო;
გიხაროდენ, უნანელთა სინანულად მომყუანებელო;
გიხაროდენ, ქუადქმნილთა და ფიცხელთა გულთა მომალბობელო;
გიხაროდენ, განძჴნებულისა ვეშაპისა კადნიერად მომწყვლელო და მომწყუედელო;
გიხაროდენ, ხარსა ზედა ქმნულითა სასწაულითა ყოვლად ნეტარისა ღლუკერისა ღმრთისა მომაქცეველო;
გიხაროდენ, ანატოლე და პროტოლეონ სტრატილატთა ღუაწლთა შენთა თანა შემრა-ცხველო;
გიხაროდენ, სასწაულთა მიერ კერპთმსახურთა შემაშფოთებელო;
გიხაროდენ, ალექსანდრია დედოფლისა ჭეშმარიტებისა გზასა ზედა დამაყენებელო;
გიხაროდენ, სიღრმესა უღმრთოებისასა დანთქმულთა სულთა ღმრთისა შესამეცნებელად აღმომქუმელო;
გიხაროდენ, სულთა ცოდვისა და ჴორცთა სნეულებისა აღმჴოცელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 10

განცვიფრდა დიოკლეტიანე და რისხჳთა მიუთხრობელითა აღივსო, რამეთუ ხედვიდა სარწმუნოებისა წარმატებასა და კერპთა უსულოთა დამდაბლებასა, თუ-ვითარ საპყრობილედ მოყვანებულნი უძლურნი შენ მიერ საკჳველსა კურნებასა მიემთხვეოდეს, ხოლო ურიცხჳ ერი და სიმრავლჱ მჴედართაჲ, ნიშთა მიერ და სასწაულთა ახოვან-ქმნილნი და სულითა განმტკიცნებულნი იესუს, ყოვლად ძლიერსა ღმერთსა ცხადად და საცნაურად უგალობდეს: ალილუია.

იკოსი 10

დაელინეს ღონენი იგი სატანჯველთანი უწყალოსა მას მეფესა, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა - არა გკუეთდა ლახუარი, არცა ცეცხლი შეგწვიდა და არცა ზარ-გცემდა შიში სიკუდილისაჲ და რქუა ერსა თჳსსა: „აჰა ესერა, ვერარაჲ ვავნეთ ჩუენ ტანჯვითა განდგომილსა მას, არამედ სხუანიცა აცთუნა მრავალნი“, და მსგავსად სამსხუერპლოჲსა ზუარაკისა განაჩინა შენი დაკლვაჲ, ხოლო შენ გულითა შემუსრვილითა ევედრე ღმერთსა, რაჲთა ნაწილნი შენნი, საღმრთოჲთა ძლიერებითა განიოტებდეს სენთა და ვნებათა, და სახელნი შენნი, სარწმუნოებითა მოჴსენიებულნი, ჰკურნებდეს შენდამი მგალობელთა:

გიხაროდენ, ურწმუნოთა მტერთა მიმართ საძლეველო დიდო მჴედარო ქრისტჱს ღმრთისაო;
გიხაროდენ, მოციქულთა სწავლისაებრ განმდევნელო მრავალღმრთეებისა წყუდიადისაო;
გიხაროდენ, წარუტყუევნელო ბჭეო მართლაღმსაარებლობისაო;
გიხაროდენ, ფარო, დამცველო კეთილმსახურებისაო და მახჳლო განმკვეთელო ბოროტმსა-ხურებისაო;
გიხაროდენ, ოქროო, ცეცხლისა მიერ გამობრძმედილო და მიიღვნილო უკუდავისა სიძისაო;
გიხაროდენ, მურო, ნელსაცხებელად შეწირულო უკუდავისა მეუფისაო;
გიხაროდენ, გუნდრუკო, აღკმეულო საღმრთოჲსა მის საკურთხეველისაო;
გიხაროდენ, ცეცხლო, დამწველო გულსა შინა ჩუენსა ყოვლისა ღუარძლისაო და კუროჲსთავისაო;
გიხაროდენ, უწმიდესო ვარსკულავო საღმრთოჲსა დიდებისაო;
გიხაროდენ, მიურულებელო მცველო და ქომაგო ივერთა მიწა-წყლისაო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 11

კრავთაებრ არა უხმობდი შენ და არცა ღაღადებდი დაკლვად რაჲ ხვიდოდი, არამედ სულ-თქმით ილოცევდი ღმრთისა მიმართ და წამებისა შენისა მომჴსენებელთა ჴსნასა ყოვლისაგან ჭირისა და განსაცდელისა კადნიერად ითხოვდი, მაშინ გამოგიჩნდა ღრუბლითგან უფალი და აღგითქვა რაჲ თხოვისა შენისა კეთილა დ აღსრულებაჲ, შენცა სიხარულით წარუპყარ ქედი შენი მახჳლსა და მადლობისა ჴმითა უგალობდი განმაძლიერებელსა შენსა: ალილუია.

იკოსი 11

სრულ-ჰყავ რაჲ სრბაჲ შენი და მიიცუალე წინაშე ღმრთისა, მადლი არა წმიდათა სულთა განდევნისაჲ და ხილულთა და უხილავთა მტერთა დათრგუნვისაჲ მოიღე ზეგარდამო, და ხატთა მიერ გამოწერილთა და ვედრებათა მოჴსენებული მსწრაფლ შეეწევი ურვათა და კრულებათა შინა მყოფთა, ხოლო ნაწილთა შენთა წმიდაჲ ლუსკუმაჲ, ვითარცა რაჲ სურნელებათა საუნჯჷ, სურნელგვყოფს მორწმუნეთა და აღგვძრავს ქებად და გალობად შენდა:

გიხაროდენ, საღმრთოჲთა ღუაწლითა შენითა უჴორცოთა წესთა განმაკჯრვებელო;
გიხაროდენ, ზუარაკო წმიდაო და უბიწოო, ქრისტჷსთჳს სისხლისა დამთხეველო;
გიხაროდენ, ღმრთისა სათნოო ტარიგო, სასუფეველისა ნეტარებისა მომგებელო;
გიხაროდენ, უფლისაგან არაწმიდათა სულთა ზედა ჴელმწიფებისა მიმღებელო;
გიხაროდენ, ღმრთისმოყუარეთა გულთა შინა მადლისმიერისა სიხარულისა მიმფენელო;
გიხაროდენ, სულიერთა ნიჭთა უხუად მიმმადლებელო;
გიხაროდენ, უხრწნელთა ნაწილთა შენთა სურნელებითა და ნიშთა სიმრავლითა ყოვლისა სოფლისა განმასურნელებელო;
გიხაროდენ, უძლურთა კურნებათა შენთა მადლითა განმაძლიერებელო;
გიხაროდენ, შეპყრობილთაგან ბოროტთა სულთა განმდევნელო;
გიხაროდენ, მვედრებელთა მიმართ წყალობით მიდრეკილო და მოსავთა შენთა განმამჴნევებელო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 12

მართლმადიდებლობისა სარწმუნოებითა მოწყლულმან, ვითარცა ამხილენ კერპთმსახურებისა სიცბილსა, ეგრეთვე აწ დაიფარენ ქრისტჷს წმიდაჲ ეკლესიაჲ მწვალებელთა თანა ერთობისაგან, რომელ არს მორევი სიბილწისაჲ, ხოლო მტერი იგი მომსრველი მორწმუნეთა ქართველთაჲ დაამჴუე და დასთრგუნე ერსა ჩუენსა ზედა აღძრული საიდუმლოჲ იგი უშჯულოებისაჲ, რაჲთა არა ვიქმეთ საცინელ მტერთა ჩუენთა, არამედ სიყუარულითა ღმრთისა და მამულისაჲთა ერთ ზრახვად შეკრულნი ქებით აღვამაღლებდეთ გჯრგჯნოსანმყოფელსა შენსა: ალილუია.

იკოსი 12

დიდისა მეუფისა მჴნეო მჴედარო გიორგი, გუაკურთხენ და გვიოხენ ჩუენ, რაჲთა კაცნი ცრუნი და ურწმუნონი, რომელნიცა ჰგმობენ ჭეშმარიტსა ღმერთსა და აქუთ თაყუანის -საცემელად და სალოცველად თჳსად მამონაჲ, არასადა ღირს იქმნენ მთავრობად ერსა ჩუენსა ზედა და მიტაცებად მართლმადიდებელთა ქართველთა, არამედ განგვიმრავლდეს ყოვლისა ქართველთ ზნეობითა სრულ-ყოფილნი ერის-მძღუარნი, რაჲთა სიწრფოებითა გულისაჲთა ზრუნვიდენ ერისა ჩუენისათჳს და კურთხეულითა ენითა ქართულითა ჴნატრიდენ სიმჴნეთა შენთა:

გიხაროდენ, ნიშთა და საკჯრველებათა ცისკრითა მოსავთა შენთა განმანათლებელო;
გიხაროდენ, მწუხარეთა ნუგეშინისმცემელო და ჭირთა მძჴნვარეთა მსწრაფლ განმდევნელო;
გიხაროდენ, განწირულთა სიკუდილისაგან გამომჴსნელო;

გიხაროდენ, ჭირვეულთა და ძჳრ-ხილულთა ჴელის-აღმპყრობელო;
გიხაროდენ, ბრძენთა და კეთილად მხედველთა აღმამაღლებელო;
გიხაროდენ, ქრისტჱსმოყუარეთა ერთა სულიერითა სიხარულითა აღმავსებელო;
გიხაროდენ, საწუთოჲსა ბნელისაგან დამწუხრებულთა ნუგეშინისმცემელო;
გიხაროდენ, კეთილმორწმუნეთა მთავრობათა და მჴედრობათა მაკურთხეველო და მწყალობელო;
გიხაროდენ, სარწმუნოებისაგან განდრეკილთა და უსჯულოებისა მომქმედთა ერის მთავართა და წინამძღოლთა შემრისხველო;
გიხაროდენ, ყოველთა მორწმუნეთა მიერ სამართლად პატივისცემულო და მარადჟამს ჴსენებულო;
გიხაროდენ, უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისაო და მფარველო ჩუენისა ეკლესიისაო;
გიხაროდენ, ძლევაშემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი!

კონდაკი 13

ჲ, ღუაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი! განსაცდელთა შინა მყოფთა შემწე ხარ განმზადებულ და ჴელმწიფებაჲ გაქუს განთავისუფლებად ჩუენდა ყოველთაგან ვნებათა და ვერაგობათა მტერისაჲთა, აწცა ნუ დასცხრები შემსხმელთა შენთათჳს ჴსნად გარე მოდგომილთა განსაცდელთაგან და ხელოვნებათა მძლავრისა ამისჱ მტერისაჲთა, რაჲთა განვერნეთ მწარეთა სატანჯველთა მათ საუკუნეთა და მარადის შენთანა უგალობდეთ ყოვლად-წმიდასა სამებასა: ალილუია.

ეს კონდაკი 3-გზის, შემდეგ